აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი №7

ქ. ბათუმი 31. 05. 2004 წ.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. დღის წესრიგის დამტკიცება.
2. ამომრჩეველთა ერთიანი სიის ფორმირების შესახებ.
3. სხვადასხვა.

სხდომას ესწრებოდნენ: ირაკლი ფაღავა, გიზო მჭედლიძე, სიმონ ჩხაიძე, გულნარა ბზიკაძე, გუგული დუაძე, ქეთევან ჯიქია, ლევან ჩავლეიშვილი, მამუკა წულუკიძე. სხდომას არ ესწრებოდა სერგო დუმბაძე.

სხდომა გახსნა კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ფაღავამ. კენჭი ეყარა დღის წესრიგის დამტკიცებას და ერთხმად იქნა მიღებული.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრს სიმონ ჩხაიძეს, საოლქო საარჩევნო კომისიაში საარჩევნო კომისიის წევრებს დარიგებული ჰქონდათ ამომრჩეველთა ერთიანი სიის ფორმირების ჩამონათვალი. აღნიშნული ფორმის უკეთ გაცნობის მიზნით სხდომაზე მოწვეული იქნა იურიდიული სამსახურის უფროსი თამაზ შარმანაშვილი. მან ისაუბრა ამომრჩეველთა ერთიანი სიის ფორმირების პროცესზე, რომელსაც საუბნო საარჩევნო კომისიები ახორციელებენ 2004 წლის 3 ივნისიდან 13 ივნისის ჩათვლით, მოქალაქეთა საარჩევნო რეგისტრაციის განაცხადის საფუძველზე (ფორმა №4-1.03.01) ეტაპობრივად გაიგზავნება ცსკო-ში საბაზისო სიები, რომელიც არაუგვიანეს 16 ივნისისა გადასცემს უსკოს ამომრჩეველთა ერთიანი სიის ნაბეჭდ ფორმებს (კედელზე გასაკრავი და სამაგიდო ფორმა), განაცხადა შარმანაშვილმა. მან აგრეთვე უპასუხა კომისიის წევრთა მიერ დასმულ შეკითხვებს სიის ფორმირების პროცესთან დაკავშირებით. წარმოდგენილი საკითხის გარშემო შეკითხვები არ დასმულა. საკითხს კენჭი ეყარა და იქნა მიღებული ერთხმად.

კომისიის თავმჯდომარე: ი. ფაღავა

კომისიის მდივანი: გ. მჭედლიძე